

ექსტრადიციის შესახებ ევროპული
კონვენციის დამატებითი ოქმი

სგრასბურგი 15.X.1975

ამ ოქმის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,
ითვალისწინებენ რა 1957 წლის 13 დეკემბერს პარიზში ხელმოსაწერად გახსნილი
ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“), დებულებებს და
კერძოდ მის მე-3 და მე-9 მუხლებს;
ითვალისწინებენ რა, რომ სასურველია ამ მუხლების შევსება ჰუმანურობისა და
ფიზიკური პირების დაცვის გაძლიერების თვალსაზრისით,
შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

მუხლი 1

კონვენციის მე-3 მუხლის გამოყენებისას, პოლიტიკური დანაშაულობები არ
მოიცავენ შემდეგს:

a) კაცობრიობის წინააღმდეგ ჩადენილ დანაშაულებს, რომლებიც განსაზღვრულნი
არიან გაერთიანებული ერების გენერალური ასამბლეის მიერ 1948 წლის 9 დეკემბერს
მიღებული გენოციდის პრევენციისა და დასჯის კონვენციით;

b) დარღვევებს, რომლებიც განსაზღვრული არიან ველზე დაჭრილი და ავადმყოფი
შეიარაღებული ძალების წევრების პირობების გაუმჯობესების შესახებ 1949 წლის ჟენევის
კონვენციის 50-ე მუხლში; ღია მდგაში შეიარაღებული ძალების დაჭრილი, ავადმყოფი და
გემზე კატასტროფაგანცლილი წევრების პირობების გაუმჯობესების შესახებ 1949 წლის
ჟენევის კონვენციის 51-ე მუხლში; სამხედრო ტყვეების მიმართ მოპყრობის შესახებ 1949
წლის ჟენევის კონვენციის 130-ე მუხლში, და ომის დროს სამოქალაქო მოსახლეობის
დაცვის შესახებ 1949 წლის ჟენევის კონვენციის 147-ე მუხლში;

c) ომის კანონების ნებისმიერ შედარებით დარღვევას, რომელსაც ადგილი ექნება
ამ ოქმის ძალაში შესვლის დროს და ომის ჩვეულებების დარღვევას, რომლებსაც ადგილი
ექნება იმ დროს, როდესაც ისინი არ იქნებიან განსაზღვრული ჟენევის კონვენციითა
გემოხსენებული დებულებებით.

თავი II

მუხლი 2

კონვენციის მე-9 მუხლს დაემატოს ქვემოთ მოცემული ტექსტი; კონვენციის
თავდაპირველი მე-9 მუხლი გახდება 1-ლი პუნქტი, ხოლო ქვემოთ დებულებები შესაბამისად
გახდებიან მე-2, მე-3 და მე-4 პუნქტები.

„2. არ დაიშვება იმ პირის გადაცემა, რომლის წინააღმდეგაც მესამე სახელმწიფოს
სასამართლოში, რომელიც წარმოადგენს ამ კონვენციის ხელმომწერ მხარეს,
გამოგანილია საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილება იმ დანაშაულის ან დანაშაულების
ჩადენისათვის, რისთვისაც შესაბამისი თხოვნა იქნა გაკეთებული ექსტრადიციის თაობაზე:

a) თუ გემოხსენებული სასამართლო გადაწყვეტილებით პირი გამართლებული იქნა;

b) თუ პატიმრობის ვადა ან სხვა სასჯელი, რომელიც მას შეეფარდა

i) იქნა მთლიანად აღსრულებული;

ii მთლიანად ან ის ნაწილი, რომელიც არ იქნა აღსრულებული, დაექვემდებარება შეწყობას ან ამნისტიას;

c) თუკი სასამართლომ გამოიგანა გამამტყუნებელი განაჩენი სანქციის გარეშე.

3. ამასთან, მე-2 პუნქტით განსაზღვრულ შემთხვევებში ექსტრადიცია განხორციელდება:

a) თუ დანაშაული, რომლის გამოც გამოგანილი იქნა განაჩენი, ჩაღწეულ იქნა იმ პირის, დაწესებულების ან რაიმე სხვა ობიექტის მიმართ, რომელსაც აქვს სამოგადოებრივი სტატუსი თხოვნის გაგზავნის სახელმწიფოში;

b) თუ პირს, რომლის წინააღმდეგაც მიღებული იქნა გადაწყვეტილება, თავად აქვს სამოგადოებრივი სტატუსი თხოვნის გაგზავნის სახელმწიფოში;

c) თუკი დანაშაული, რომლისთვისაც იქნა გამოგანილი სასამართლო გადაწყვეტილება, ნაწილობრივ ან მთლიანად ჩაღწეულია თხოვნის გამგზავნის სახელმწიფოს ტერიტორიაზე ან იმ ტერიტორიაზე, რომელიც განიხილება ამ სახელმწიფოს ტერიტორიად.

4. მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებები ხელს არ შეუშლიან უფრო ფართო შიდასამართლებრივი დებულებების გამოყენებას რომლებიც ეხებიან *ne bis in idem* ძალას უცხოეთის სასამართლოების გადაწყვეტილებების მიმართ.

თავი III

მუხლი 3

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. ოქმი ძალაში შედის მესამე სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

3. იმ ხელმომწერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს რატიფიცირებას, დამტკიცებას ან მიღებას, ოქმი ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

4. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია, ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, კონვენციის მანამდე ან პარალელურად რატიფიცირების გარეშე.

მუხლი 4

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდა კონვენციას, შეუძლია მიუერთდეს ამ ოქმს მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

2. ამგვარი მიერთება ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

მუხლი 5

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის, ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ ოქმის გამოყენება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს ან მოგვიანებით, ევროპის საბჭოს გენერალურ მდივნის სახელზე დეკლარაციის გაგზავნის გზით, შეუძლია გაავრცელოს ამ ოქმის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან

გერიგორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხს აგებს და ვისი სახელითაც იგი უფლებამოსილია აიღოს ვალდებულებანი.

3. წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, ამ დეკლარაციაში მითითებული ნებისმიერ გერიგორიის მიმართ შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი ამ ოქმის მე-8 მუხლის დებულებების შესაბამისად.

მუხლი 6

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განაცხადოს, რომ არ მიიღებს I ან II თავიდან ერთ-ერთს.

2. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია უკან გამოითხოვოს წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული დეკლარაცია ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის დეკლარაციის გაგზავნის გზით, რომელიც ძალაში შედის მისი მიღების თარიღიდან.

3. დაუშვებელია დათქმების გაკეთება ამ ოქმის დებულებების მიმართ.

მუხლი 7

ევროპის საბჭოს დამნაშავეობის პრობლემების ევროპული კომიტეტი ინფორმირებული იქნება ამ ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში, ხელს შეუწყობს იმ სიძნელეების მეგობრულ მოგვარებას, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან ოქმის განხორციელებისას.

მუხლი 8

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ ოქმს, იმ ბოძით, რითაც იგი მას ეხება, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე შეგყობინების გაგზავნის საშუალებით.

2. ამგვარი დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეგყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

3. კონვენციის დენონსაცია ავტომატურად იწვევს ამ ოქმის დენონსაციას.

მუხლი 9

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრებს და ყველა იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომლებიც მიუერთდება ამ კონვენციას აცნობებს:

a) ნებისმიერ ხელმოწერის შესახებ;

b) ნებისმიერი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;

c) მე-3 მუხლის შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის ნებისმიერი თარიღის შესახებ;

d) მე-5 მუხლის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი დეკლარაციის და ამგვარი დეკლარაციის უკან გამოთხოვის შესახებ.

e) მე-6 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ;

f) მე-6 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად დეკლარაციების უკან გამოთხოვის შესახებ;

g) მე-8 მუხლის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეგყობინებისა და დენონსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელისმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1975 წლის ოქტომბრის მე-15 დღეს ინგლისურ და ფრანგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტური, შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოს.

ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის მეორე დამატებითი ოქმი

სტრასბურგი, 17.III. 1978

ამ ოქმის ხელმომწერი ევროპის საბჭოს წევრი სახელმწიფოები,
სურთ რა ხელი შეუწყონ 1957 წლის 13 დეკემბერს პარიზში ხელმოსაწერად გახსნილი ექსტრადიციის შესახებ ევროპული კონვენციის (შემდგომში „კონვენცია“) გამოყენების ფისკალური დანაშაულების სფეროში;
ითვალისწინებენ რა რომ, ასევე სასურველია კონვენციის შევსება სხვა მხრივაც,
შეთანხმდნენ შემდეგზე:

თავი I

მუხლი 1

კონვენციის მე -2 მუხლის მე -2 პუნქტს დაემატოს შემდეგი დებულება:
„ეს უფლება ასევე გამოიყენება იმ დანაშაულების მიმართ, რომლებიც ექვემდებარებიან მხოლოდ ფულად სანქციებს“.

თავი II

მუხლი 2

კონვენციის მე -5 მუხლი შეიცვალოს შემდეგი დებულებებით:

„ფისკალური დანაშაულები“

1. ბეგარებთან, გადასახადებთან, საბაჟო და სავალუტო ოპერაციებისათვის მოსაკრებლებთან დაკავშირებული დანაშაულებისათვის ხელშემკვრელ მხარეებს შორის ექსტრადიცია განხორციელდება კონვენციის დებულებების შესაბამისად, თუკი დანაშაული, თხოვნის მიმღები მხარის კანონის მიხედვით შეესაბამება იგივე ბუნების დანაშაულს.

2. ექსტრადიციაზე არ შეიძლება უარის თქმა იმ საფუძველზე, რომ თხოვნის მიმღები მხრის სამართალი არ აწესებს რაიმე სახის ბეგარას ან გადასახადს ან არ აღგენს იმავე სახის ბეგარის გადახდის, საგადასახადო, საბაჟო ან გადაცვლის რეგულაციებს, როგორცაც მიმღები მხარის სამართალი.“

თავი III

მუხლი 3

კონვენციას დაემატოს შემდეგი რედაქციის დებულებები:

„In absentia გამოგანილი სასამართლო გადაწყვეტილებები

1. როდესაც ერთი ხელშემკვერელი მხარე მეორეს სთხოვს პირის მისთვის გადაცემას იმ მიზნით, რომ აღასრულოს სასამართლო განაჩენი ან დაკავების ორდერი, რომელიც გამოგანილი იქნა ამ პირის წინააღმდეგ მის დაუსწრებლად, თხოვნილ მხარეს უფლება აქვს უარი თქვას ამ მიზნით პირის გადაცემაზე, თუკი მისი აზრი, სამართალწარმოება, რომელიც მივიდა შესაბამის სასამართლო გადაწყვეტილებაზე, არ აკმაყოფილებდა სისხლის სამართლის დანაშაულის ჩადენაში ბრალეული ნებისმიერი პირისათვის უზრუნველყოფილ დაცვის მინიმალურ უფლებებს. ამასთან, ექსტრადიცია განხორციელდება, თუ თხოვნის გამგზავნი მხარე წარმოადგენს საკმაო რწმუნებას იმისა, რომ შესაბამისი პირისათვის უზრუნველყოფილი იქნება ხელახალი გასამართლების უფლება, სადაც დაცული იქნება დაცვის უფლებები. ეს გადაწყვეტილება უფლებას მისცემს მიმღებ მხარეს აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილება, თუ დამნაშავედ აღიარებული პირი არ იქნება ამის წინააღმდეგი ან წინააღმდეგ შემთხვევაში, დაიწყო სამართალწარმოება გადაცემული პირის წინააღმდეგ.

2. როდესაც თხოვნის მიმღები მხარე შეაგყობინებს პირს, რომლის გადაცემა იქნა მოთხოვნილ მის დაუსწრებლად გამოგანილი სასამართლოს განაჩენის შესახებ, თხოვნის გამგზავნი მხარე არ განიხილავს ამ კომუნიკაციას, როგორც ფორმალურ შეგყობინებას ამ სახელმწიფოში სისხლის სამართალწარმოების დაწყების შესახებ“.

თავი IV

მუხლი 4

კონვენციას დაემატოს შემდეგი დებულებები:

„ამნისტია

არ განხორციელდება პირის გადაცემა იმ დანაშაულისათვის, რომლის მიმართაც გამოცხადდა ამნისტია თხოვნის გაგზავნ სახელმწიფოში და რომელიც მანამდე იღვენებოდა ამ სახელმწიფოს სისხლის სამართლის მიხედვით.“

თავი V

მუხლი 5

კონვენციის მე-12 მუხლის 1-ლი პუნქტი შეიცვალოს შემდეგი დებულებებით:

„თხოვნა გაკეთებული უნდა იქნას წერილობითი ფორმით და თხოვნის გამგზავნი მხარის იუსტიციის მინისტრის მიერ უნდა ეგზავნებოდეს თხოვნის მიმღები მხარის იუსტიციის მინისტრს; ამასთან, არ გამოირიცხება დიპლომატიური არხების გამოყენებაც. კომუნიკაციის სხვა საშუალებების გამოყენება შეიძლება განისაზღვროს ორ ან მეტ მხარეს შორის პირდაპირი შეთანხმებით.“

თავი VI

მუხლი 6

1. ეს ოქმი ღიაა ხელმოსაწერად ევროპის საბჭოს იმ წევრი სახელმწიფოებისათვის, რომლებმაც ხელი მოაწერეს კონვენციას. იგი ექვემდებარება რატიფიკაციას, მიღებას ან დამტკიცებას. სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელები შესანახად ბარდება ევროპის საბჭოს გენერალურ მდივანს.

2. ოქმი ძალაში შედის მესამე სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ

3. იმ ხელმომწერი სახელმწიფოს მიმართ, რომელიც შემდგომში მოახდენს რატიფიცირებას, დამტკიცებას ან მიღებას, ოქმი ძალაში შედის მისი სარატიფიკაციო, მიღების ან დამტკიცების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

4. ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოს არ შეუძლია, ამ ოქმის რატიფიცირება, მიღება ან დამტკიცება, თუკი არ მოახდენს მანამდე ან პარალელურად კონვენციის რატიფიცირებას.

მუხლი 7

1. ნებისმიერ სახელმწიფოს, რომელიც მიუერთდება კონვენციას, შეუძლია მიუერთდეს ამ ოქმს მისი ძალაში შესვლის შემდეგ.

2. ამგვარი მიერთება ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების თარიღიდან 90 დღის შემდეგ.

მუხლი 8

1. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის, ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განსაზღვროს ის ტერიტორია ან ტერიტორიები, რომელთა მიმართაც მოხდება ამ ოქმის გამოყენება.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს, მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს ან მოგვიანებით, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის საშუალებით, შეუძლია გაავრცელოს ამ ოქმის გამოყენება დეკლარაციაში მითითებულ ნებისმიერ სხვა ტერიტორიაზე ან ტერიტორიებზე, რომელთა საერთაშორისო ურთიერთობებზეც იგი პასუხს აგებს და ვისი სახელითაც იგი უფლებამოსილია აიღოს ვალდებულებანი.

3. წინა პუნქტის დებულებების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაცია, ამ დეკლარაციაში მითითებული ნებისმიერი ტერიტორიის მიმართ შეიძლება უკან იქნას გამოთხოვილი ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეცვობინების გაგზავნის გზით. ამგვარი უკან გამოთხოვა ძალაში შედის ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის მიერ შეცვობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

მუხლი 9

1. რომელიმე სახელმწიფოს მიერ კონვენციის დებულების მიმართ გაკეთებული დათქმა გამოიყენება ამ ოქმის მიმართაც, თუკი ეს სახელმწიფო სხვაგვარად არ განაცხადებს ხელმოწერის ან მისი სარატიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს.

2. ნებისმიერ სახელმწიფოს ხელმოწერის ან მისი სარაგიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების დროს, შეუძლია განაცხადოს, რომ იგი ინარჩუნებს უფლებას.

- a) არ მიიღოს I თავი;
- b) არ მიიღოს II თავი ან მიიღოს იგი მხოლოდ მე -2 მუხლში განსაზღვრული დანაშაულების მიმართ ან დანაშაულთა განსაზღვრული კატეგორიების მიმართ;
- c) არ მიიღოს III თავი, ან მიიღოს მხოლოდ მე -3 მუხლის 1-ლი პუნქტი;
- d) არ მიიღოს IV თავი;
- e) არ მიიღოს V თავი.

3. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია გამოითხოვოს წინა პუნქტის შესაბამისად გაკეთებული დეკლარაცია, ევროპის საბჭოს გენერალური მდივნის სახელზე გაკეთებული დეკლარაციის გზით, რომელიც ძალაში შედის მისი მიღების თარიღიდან.

4. ხელშემკვრელ მხარეს, რომელიც ამ ოქმის მიმართ გამოიყენებს კონვენციის დებულების მიმართ გაკეთებულ დათქმას, ან რომელმაც გააკეთა დათქმა ამ ოქმის დებულების მიმართ, არ შეუძლია მოითხოვოს სხვა ხელშემკვრელი მხარისაგან იმავე დებულების გამოყენება; ამასთან, თუკი მისი დათქმა ნაწილობრივი ან პირობითია, მას შეუძლია მოსთხოვოს სხვა მხარეს მისი გამოყენება იმ ზომით, რითაც თავად აქვს მიღებული.

5. დაუშვებელია დათქმების გაკეთება ამ ოქმის დებულებების მიმართ.

მუხლი 10

ევროპის საბჭოს დამნაშავეობის პრობლემების ევროპული კომიტეტი ინფორმირებული იქნება ამ ოქმის გამოყენებასთან დაკავშირებით და საჭიროების შემთხვევაში ხელს შეუწყობს იმ სიძნელეების მეგობრულ მოგვარებას, რომლებიც შეიძლება წარმოიქმნან ოქმის განხორციელებისას.

მუხლი 11

1. ნებისმიერ ხელშემკვრელ მხარეს შეუძლია დენონსაცია გაუკეთოს ამ ოქმს ევროპის საბჭოს გენერალური მდივნისათვის შეგყობინების გაგზავნის საშუალებით.

2. ამგვარი დენონსაცია ძალაში შედის გენერალური მდივნის მიერ შეგყობინების მიღების თარიღიდან ექვსი თვის შემდეგ.

3. კონვენციის დენონსაცია ავტომატურად იწვევს ამ ოქმის დენონსაციას.

მუხლი 12

ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი ევროპის საბჭოს წევრებს და ყველა იმ სახელმწიფოს მთავრობას, რომელიც მიუერთდა ამ ოქმს, აცნობებს

- a) ნებისმიერი ხელმოწერის შესახებ;
- b) ნებისმიერი სარაგიფიკაციო, მიღების, დამტკიცების ან მიერთების სიგელის შესანახად ჩაბარების შესახებ;
- c) მე-6 და მე-7 მუხლების შესაბამისად ამ ოქმის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ;
- d) მე-8 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტების დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ;
- e) მე-9 მუხლის 1-ლი პუნქტის დებულებების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დეკლარაციის შესახებ;

f) მე-9 მუხლის მე-2 პუნქტის დებულებების შესაბამისად გაკეთებული ნებისმიერი დათქმის შესახებ;

g) მე-9 მუხლის მე-3 პუნქტის დებულებების შესაბამისად დათქმის უკან გამოთხოვის შესახებ;

h) მე-11 მუხლის დებულებების შესაბამისად მიღებული ნებისმიერი შეცვობინებების და დენოსაციის ძალაში შესვლის თარიღის შესახებ.

ამის დასტურად ქვემოთ ხელისმომწერებმა, რომლებიც სათანადოდ იყვნენ რწმუნებულნი, ხელი მოაწერეს ამ ოქმს.

შესრულებულია სტრასბურგში 1978 წლის მარტის მე-17 დღეს ინგლისურ და ფარანგულ ენებზე; ორივე ტექსტი არის თანაბრად აუთენტიკური, შედგენილი თითო ეგზემპლარად, რომელიც ინახება ევროპის საბჭოს არქივებში. ევროპის საბჭოს გენერალური მდივანი გადასცემს დამოწმებულ ასლებს თითოეულ ხელმომწერ და მიერთებულ სახელმწიფოს.